

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და
საქალაქო მეურნეობის კომისიის სხდომის

ო ქ მ ი N56

სხდომის ჩატარების დრო:
28 იანვარი, 2025 წელი

სხდომის ჩატარების ადგილი:
რუსთაველის გამზირი N3
ადგილობრივი თვითმმართველობის
შენობაში არსებული სხდომათა დარბაზი

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და
საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე, ბატონი ამირან კოპალეიშვილი.

ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

მაია სიმონიძე, მაგდა კოსტავა, თეიმურაზ ნადირაძე, ზაქრო მამასახლისი, ჯემალ
ბიბილეიშვილი, მამუკა რიყამაძე, ბესიკ ხამაშურიძე.

სულ: 8 წევრი.

არ ესწრებოდნენ: დავით ბახტაძე, ლაშა შალამბერიძე, ნინო ბიბილეიშვილი, გიორგი
კილაძე, კობა გურული, გრიგოლ შუშანია.

სულ: 6 წევრი.

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული
ერთეულის-ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და
ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე მზევინარ საცერაძე,
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-
ურბანული დაგეგმარების, ძეგლთა დაცვისა და სამშენებლო ნებართვების სამსახურის
ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი მამუკა კუბლაშვილი, ქალაქ ქუთაისის
მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი მარეხი ნიჟარაძე.

სხდომა გახსნა საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის
კომისიის თავმჯდომარემ ბატონმა ამირან კოპალეიშვილმა და წარმოადგინა სხდომის დღის
წესრიგის შემდეგი პროექტი:

1. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის 2025 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ;

2. „ქალაქ ქუთაისში მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული, ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვისათვის მოსაკრებლის შემოღების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 31 ივლისის N112 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

3. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავტომანქანების პარკირების მარეგულირებელი ნორმების, ავტომანქანების პარკირების ადგილების განსაზღვრისა და ავტომანქანების პარკირების წესების დადგენის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 იანვრის N69 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

4. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ, თხოვების ფორმით, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ქუთაისის სატრანსპორტო კომპანიისათვის“ სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ;

5. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, საჯარო სამართლის იურიდიული პირის „საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ;

6. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით) იჯარის ფორმით, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „იბერიის ვარსკვლავისათვის“ სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ;

7. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით) იჯარის ფორმით, მოქალაქეების: ოლეგი ინაწიშვილისა და კობა ლეშკაშელისათვის სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ;

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა ამირან კოპალეიშვილმა დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 8 წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: დავით ბახტაძე, ლაშა შალამბერიძე, ნინო ბიბილეიშვილი, გიორგი კილაძე, კობა გურული, გრიგოლ შუშანიძე.

ღია კენჭისყრით, ერთხმად დაადგინეს:

დამტკიცდეს კომისიის სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი რედაქციით.

მთავრდება:

დღის წესრიგის პირველი საკითხის - „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის 2025 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“

საკითხი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა ამირან კოპალეიშვილმა.

ბატონმა ა.კოპალეიშვილმა აქვე განმარტა: „წარმოგიდგენთ ჩვენი კომისიის გეგმა-გრაფიკს, როგორც მოგეხსენებათ, ყოველი წლის დასაწყისში ვადგენთ ამ გეგმას და ამის მიხედვით ვმუშაობთ მთელი წლის განმავლობაში:

I კვარტალი

1	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის 2025 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ	საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე	იანვარი
2	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ზონების საზღვრების აღწერის, ტერიტორიულ ზონებსა და ქვეზონებში მოქცეული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების საწყისი საპრივატიზებო საფასურის განსაზღვრის შესახებ	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი	თებერვალი
3	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების მართვისა და განკარგვასთან დაკავშირებული საკითხების განხილვის შესახებ	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი	თებერვალი
4	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების,	მარტი

	არსებული საპრივატიზებო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნუსხისა და გეგმის განხილვის შესახებ	ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი	
5	მიმდინარე საკითხები	საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე	მარტი

II კვარტალი

1	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-მუნიციპალური და საბინაო ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-მუნიციპალური და საბინაო ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის ხელმძღვანელი	აპრილი
2	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული საპრივატიზებო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნუსხისა და გეგმის განხილვის შესახებ	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი	აპრილი
3	არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქუთაისის მუნიციპალური ინსპექციის“ ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ	არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქუთაისის მუნიციპალური ინსპექციის“ ხელმძღვანელი	მაისი
4	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ქუთაისის სატრანსპორტო კომპანიის“	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ქუთაისის	მაისი

	ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ	სატრანსპორტო კომპანიის“ ხელმძღვანელი	
5	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების მართვასა და განკარგვასთან დაკავშირებული საკითხების განხილვის შესახებ	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი	ივნისი
6	არასამეწარმეო(არაკომერციული) იურიდიული პირის „პარკინგსერვისის“ ანგარიში გაწეული სამუშაოს შესახებ	არასამეწარმეო(არაკომერციული) იურიდიული პირის „პარკინგსერვისის“ ხელმძღვანელი	ივნისი

III კვარტალი

1	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ანგარიში გაწეული სამუშაოს შესახებ	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი	ივლისი
2	არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „სპეციალური სერვისების“ ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ	არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „სპეციალური სერვისების“ ხელმძღვანელი	ივლისი
3	მიმდინარე საკითხები	საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე	აგვისტო
4	არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქუთგანათების სერვისის“ ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ.	არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქუთგანათების სერვისის“ ხელმძღვანელი	სექტემბერი

5	მიმდინარე საკითხები	საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე	სექტემბერი

IV კვარტალი

1	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის ანგარიში (2024 წლის ოქტომბრიდან 2025 წლის ოქტომბრამდე) გაწეული მუშაობის შესახებ	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის ხელმძღვანელი	ოქტომბერი
2	ზამთრის პერიოდის დადგომასთან დაკავშირებით ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში არსებული მდგომარეობის განხილვის შესახებ	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური და საბინაო ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის ხელმძღვანელი	ნოემბერი
3	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების მართვისა და განკარგვასთან დაკავშირებული საკითხების განხილვის შესახებ	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი	ნოემბერი
4	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვის შესახებ	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელი	დეკემბერი
5	მიმდინარე საკითხები	საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო	დეკემბერი

	მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე	
--	------------------------------------	--

საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოთქმულა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა ამირან კოპალეიშვილმა დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 8 წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: დავით ბახტაძე, ლაშა შალამბერიძე, ნინო ბიბილეიშვილი, გიორგი კილაძე, კობა გურული, გრიგოლ შუმანია.

ღია კენჭისყრით, ერთხმად დაადგინეს:

მოწონებულ იქნეს დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველი საკითხი „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის 2025 წლის გეგმა-გრაფიკის დამტკიცების შესახებ“

მოისმინეს:

დღის წესრიგის მეორე საკითხის- „ქალაქ ქუთაისში მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული, ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვისათვის მოსაკრებლის შემოღების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 31 ივლისის N112 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

ზემოაღნიშნულ საკითხზე დადგენილების პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ურბანული დაგეგმარების, ძეგლთა დაცვისა და სამშენებლო ნებართვების სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელმა ბატონმა მამუკა კუბლაშვილმა.

(დადგენილების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ბატონმა მ.კუბლაშვილმა აქვე განმარტა: „როდესაც ჩვენ მივიღეთ 2019 წლის 31 ივლისის, N112 დადგენილება და შემოვიღეთ მოსაკრებელი K2-ის მიხედვით 4 ლარი, იმავე სხდომაზე N115 დადგენილებით გავათავისუფლეთ ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლები, თუ გადავხედავთ, რომ არსებობს N115 დადგენილება, წესით ეს წესი ადარ სჭირდებოდა, მაგრამ მთავრობამ ჩათვალა, რომ აქაც ყოფილიყო ამასთან დაკავშირებით ჩანაწერი, ასევე აქ საუბარია ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლებისა და საკურორტო ზონაში არსებული სამრეწველო ობიექტების მშენებლობის მოსაკრებლიდან გათავისუფლებაზე, ვინაიდან საკურორტო ზონა არ გააჩნია ქუთაისს, შესაბამისად N112 დადგენილებაში არ გვქონდა ეს ჩანაწერი, მაგრამ მთავრობის ადმინისტრაციის გადაწყვეტილებით მოთხოვნა იყო, რომ ჩავგვეწერა მაინც.“

კომისიის წევრი, ქალბატონი მაია სიმონიძე: „ეს წესი პირველი კლასის მშენებლობებს არ ეხება ხომ?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ურბანული დაგეგმარების, ძეგლთა დაცვისა და სამშენებლო ნებართვების სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი, ბატონი მამუკა კუბლაშვილი: „არა არ ეხებათ, ეს არის მშენებლობის ნებართვის მოსაკრებელი, პირველი კლასით შემოდის შეთანხმება, ხოლო მეორე და მეოთხე კლასი არის მშენებლობის ნებართვა, ანუ რასაც მშენებლობის ნებართვა სჭირდება, იმის მოსაკრებელს იხდის მსურველი.“

საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოთქმულა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა ამირან კოპალეიშვილმა დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 8 წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: დავით ბახტაძე, ლაშა შალამბერიძე, ნინო ბიბილეიშვილი, გიორგი კილაძე, კობა გურული, გრიგოლ შუშანია.

ღია კენჭისყრით, ერთხმად და ა ა დ გ ი ნ ე ს :

მუხლი 1. მოწონებულ იქნეს დადგენილების პროექტი „ქალაქ ქუთაისში მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული, ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვისათვის მოსაკრებლის შემოღების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 31 ივლისის N112 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

მუხლი 2. დღის წესრიგის მეორე საკითხზე მიღებულ იქნეს დასკვნა შენიშვნების გარეშე თანდართული რედაქციით და წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომას განსახილველად.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს :

დღის წესრიგის მესამე საკითხის- „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავტომანქანების პარკირების მარეგულირებელი ნორმების, ავტომანქანების პარკირების ადგილების განსაზღვრისა და ავტომანქანების პარკირების წესების დადგენის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 იანვრის N69 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

ზემოაღნიშნულ საკითხზე დადგენილების პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილემ, ქალბატონმა მზევინარ საცერაძემ.

(დადგენილების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ქალბატონმა მ.საცერაძემ აქვე განმარტა: „მოგახსენებთ, რომ საკრებულოს 2015 წლის 30 იანვრის 69 დადგენილებით განსაზღვრული იყო პარკირების მარეგულირებელი ნორმები, ამ ეტაპზე აღნიშნულ წესში ემატება 22-ე პრიმა მუხლი, რომლითაც განსაზღვრული იქნება რა ფორმით და ვისზე შეიძლება გაიცეს (საუბარია შეზღუდული შესაძლებლობის პირებზე)

საცნობი ნიშნები და როგორ უნდა მოხდეს ამ ნიშნების დამაგრება სატრანსპორტო საშუალებებზე, შესაბამისად როგორ უნდა მოხდეს აღნიშნული ავტომობილების პარკირება, ამას მოიცავს წარმოდგენილი ცვლილება.“

საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოთქმულა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა ამირან კოპალიშვილმა დღის წესრიგის მესამე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 8 წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: დავით ბახტაძე, ლაშა შალამბერიძე, ნინო ბიბილეიშვილი, გიორგი კილაძე, კობა გურული, გრიგოლ შუმანია.

ღია კენჭისყრით, ერთხმად დაადგინეს:

მუხლი 1. მოწონებულ იქნეს დადგენილების პროექტი „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავტომანქანების პარკირების მარეგულირებელი ნორმების, ავტომანქანების პარკირების ადგილების განსაზღვრისა და ავტომანქანების პარკირების წესების დადგენის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 იანვრის N69 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

მუხლი 2. დღის წესრიგის მესამე საკითხზე მიღებულ იქნეს დასკვნა შენიშვნების გარეშე თანდართული რედაქციით და წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომას განსახილველად.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის მეოთხე საკითხის- „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ, თხოვების ფორმით, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ქუთაისის სატრანსპორტო კომპანიისათვის“ სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“

ზემოაღნიშნულ საკითხზე განკარგულების პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილემ, ქალბატონმა მზევინარ საცერაძემ.

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ქალბატონმა მ.საცერაძემ აქვე განმარტა: „ცნობილია, რომ გარემოსდაცვითი ფონდის მიერ დაფინანსებულ იქნა პროექტი „ქუთაისის დაბალემისიანი განვითარება ურბანული დაგეგმარების გზით“ და სწორედ ამ პროექტის ფარგლებში, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მიერ გასულ წელს შეძენილ იქნა მგზავრთა გადაადგილებისათვის განკუთვნილი ორი ერთეული ელექტრო ავტობუსი, ამ ეტაპზე შემოსულია განკარგულების

პროექტი, რომლითაც ჩვენ გადავცემთ ზემოხსენებულ ავტობუსებს „სატრანსპორტო კომპანიას“ და მომავალში დამტკიცდება ასევე სვლა-გეზებიც.“

საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოთქმულა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა ამირან კოპალეიშვილმა დღის წესრიგის მეოთხე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 8 წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: დავით ბახტაძე, ლაშა შალამბერიძე, ნინო ბიბილეიშვილი, გიორგი კილაძე, კობა გურული, გრიგოლ შუშანიძე.

ღია კენჭისყრით, ერთხმად დაადგინეს:

მუხლი 1. მოწონებულ იქნეს განკარგულების პროექტი „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ, თხოვნის ფორმით, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ქუთაისის სატრანსპორტო კომპანიისათვის“ სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“

მუხლი 2. დღის წესრიგის მეოთხე საკითხზე მიღებულ იქნეს დასკვნა შენიშვნების გარეშე თანდართული რედაქციით და წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომას განსახილველად.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის მეხუთე საკითხის- „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, საჯარო სამართლის იურიდიული პირის „საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“

ზემოაღნიშნულ საკითხზე განკარგულების პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილემ, ქალბატონმა მზევიანარ საცერაძემ.

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ქალბატონმა მ.საცერაძემ აქვე განმარტა: „წერილობითი მომართვა იქნა შემოსული საგანმანათლებლო დაწესებულება, „მანდატურის სამსახურისგან“, მოგეხსენებათ, რომ ეს სსიპ არის საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს დაქვემდებარებაში და მიზანშეწონილია, აღნიშნული ქონება საკუთარი უფლებამოსილების განხორციელების მიზნის გადაეცეთ მათ, ეს ფართი მდებარეობს სადგურის ქუჩა N3ა-ში,

კერძოდ, პროკურატურის შენობის გვერდით არსებულ ფლიგელზეა საუბარი, რომელიც დაახლოებით 213 კვადრატს მოიცავს.“

საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოთქმულა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა ამირან კოპალეიშვილმა დღის წესრიგის მეხუთე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 8 წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: დავით ბახტაძე, ლაშა შალამბერიძე, ნინო ბიბილეიშვილი, გიორგი კილაძე, კობა გურული, გრიგოლ შუმანია.

ღია კენჭისყრით, ერთხმად დაადგინეს :

მუხლი 1. მოწონებულ იქნეს განკარგულების პროექტი „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, საჯარო სამართლის იურიდიული პირის „საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“

მუხლი 2. დღის წესრიგის მეხუთე საკითხზე მიღებულ იქნეს დასკვნა შენიშვნების გარეშე თანდართული რედაქციით და წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომას განსახილველად.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს :

დღის წესრიგის მეექვსე საკითხის- „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლო, პირობებით) იჯარის ფორმით, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „იბერიის ვარსკვლავისათვის“ სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“

ზემოაღნიშნულ საკითხზე განკარგულების პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილემ, ქალბატონმა მზევინარ საცერაძემ.

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოთქმულა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა ამირან კოპალეიშვილმა დღის წესრიგის მეექვსე საკითხთან

დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 8 წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: დავით ბახტაძე, ლაშა შალამბერიძე, ნინო ბიბილეიშვილი, გიორგი კილაძე, კობა გურული, გრიგოლ შუმანია.

ღია კენჭისყრით, ერთხმად დაადგინეს:

მუხლი 1. მოწონებულ იქნეს განკარგულების პროექტი „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით) იჯარის ფორმით, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „იბერიის ვარსკვლავისათვის“ სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“

მუხლი 2. დღის წესრიგის მეექვსე საკითხზე მიღებულ იქნეს დასკვნა შენიშვნების გარეშე თანდართული რედაქციით და წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომას განსახილველად.

მოისმინეს:

დღის წესრიგის მეშვიდე საკითხის- „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით) იჯარის ფორმით, მოქალაქეების: ოლეგი ინანეიშვილისა და კობა ლეშკაშელისათვის სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“

ზემოაღნიშნულ საკითხზე განკარგულების პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილემ, ქალბატონმა მზევინარ საცერაძემ.

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ქალბატონმა მ.საცერაძემ აქვე განმარტა: „საუბარია კიბის უჯრედების მოწყობაზე, ერთი მათგანი ვადის გაგრძელებას ითხოვს, ხოლო მეორე ფართის იჯარით გადაცემას, კიბის მოწყობის მიზნით.“

კომისიის თავმჯდომარე, ბატონი ამირან კოპალეიშვილი: „ბევრჯერ გვისაუბრია ამ საკითხზე და კიდევ გავიმეორებ, რომ უმჯობესი იქნება ეს კიბის უჯრედები რაიმე სტანდარტებში მოვაქციოთ და ერთმანეთის მსგავსი იყოს ყველა.“

კომისიის წევრი, ბატონი ზაქრო მამასახლისი: „აზრთა სხვადასხვაობას გამოიწვევს ვფიქრობ, ჩვენ მიერ დაწესებული სტანდარტებით აშენებული კიბე, შეიძლება ზოგ შენობასთან შესაბამისი იყოს, ზოგთან კი არა და უკმაყოფილებას გამოიწვევს, ამიტომ რამდენიმე ფორმის შემუშავებაც დასაშვებია.“

საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოთქმულა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა ამირან კოპალეიშვილმა დღის წესრიგის მეშვიდე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 8 წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: დავით ბახტაძე, ლაშა შალამბერიძე, ნინო ბიბილეიშვილი, გიორგი კილაძე, კობა გურული, გრიგოლ შუშანია.

ღია კენჭისყრით, ერთხმად დაადგინეს:

მუხლი 1. მოწონებულ იქნეს განკარგულების პროექტი „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით) იჯარის ფორმით, მოქალაქეების: ოლეგი ინანეიშვილისა და კობა ლეშვაშელისათვის სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“

მუხლი 2. დღის წესრიგის მეშვიდე საკითხზე მიღებულ იქნეს დასკვნა შენიშვნების გარეშე თანდართული რედაქციით და წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომას განსახილველად.

ამით, ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და
საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე
ამირან კოპალეიშვილი

